

შეტყობინება მეთორმეტე

**სულიერი პრინციპები, სიცოცხლის გაკვეთილები და წმიდა გაფრთხილებები  
წმიდა მიწით ტკობასთან დაკავშირებით, ნაჩვენები ხუთ მთავარ პიროვნებასთან  
დაკავშირებით მეფეთას 1-ლ და მე-2 წიგნებში**

ადგილები წერილიდან: 1 მეფ. 2:27-30, 35; 3:21; 12:3-5, 23; 18:1-4; 23:16-18; 9:1-2, 17;  
13:13-14; 15:19, 23; 16:1, 12-13; 30:6ბ-10; 26:19ბ; 2 მეფ. 11:1-27

- I. **ყელის დროს აარონის ძველი სამღვდელოება დაუძღურდა და დასუსტდა (1 მეფ. 2:12-30), და ღმერთს უნდოდა, გაეკეთებინა რაღაც ახალი თავისი სახლმშენებლობის განსახორციელებლად:**
- ა. ჩვენ ყველამ უნდა უარყოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია დაუძღურებასთან, სიბერესთან, ნელთბილობასთან და სიამაყესთან, და დაგრჩეთ ცარიელები, გახსნილები, ახლები, ცოცხლები და ახალგაზრდები უფალთან; ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი მის სურვილთან, რომელიც არის ის, რომ ჩვენ ვიყოთ ერთი ქრისტესთან, ავსებულები ქრისტეთი და დაკავებულები ქრისტეთი იმ მიზნით, რომ ვიცხოვროთ ქრისტე ქრისტეს სხეულის ორგანული აშენებისათვის – გამოცხ. 3:15-22; ლუკა 18:17; ფილიპ. 3:7-14; გალ. 1:15-16; 2:20; 4:19; ეფეს. 4:16.
  - ბ. ყელის დღეებში ღმერთის სიტყვა იყო იშვიათი; ღმერთის ლაპარაკი თითქმის დაკარგული (1 მეფ. 3:1); პირველი, რაც უნდა გაეკეთებინა მღვდელს სამღვდელოებაში, – ეს იყო ელაპარაკა ღმერთის ნაცვლად (გამ. 28:30); მღვდელი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელიც ახლოს არის ღმერთთან, რომელიც ერთია ღმერთთან, რომელიც იცნობს ღმერთის გულს და რომელიც წარმოთქვამს უნიკალურ და ჯანსაღ სწავლებას ღმერთის მარადიულ სახლმშენებლობაზე (1 ტიმ. 1:3-4; 6:3).
  - გ. ყელიმ ასწავლა სამუელს, რომ მას ეთქვა უფლისათვის: „ილაპარაკე, იეჰოვა, ვინაიდან შენი მსახური გისმენს“; იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ უფლის ნაცვლად და ვიყოთ ერთი მასთან მისი მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად, ჩვენ პირველ რიგში უნდა დავაფასოთ და ყურადღებით მოვისმინოთ მისი ლაპარაკი, რისი წყალობითაც ჩვენ შევძლებთ გავიგოთ მისი სურვილი და ის თუ რას ანიჭებს უპირატესობას – 1 მეფ. 3:9-10, 21; ესაია 50:4-5.
  - დ. ყელიმ უბუღებელყო სამღვდელოება, რაც გამოიხატა მის დაუდევრობაში მისი ბოროტი ორი ძის აღზრდის საკითხთან დაკავშირებით (1 მეფ. 2:28-29); ამან მიიყვანა ის მისი ისტორიის ტრაგიკულ დასრულამდე, მისი კეთილი მიწით ტკობის ტრაგიკულ დასრულებასთან და სამღვდელოების დასუსტებასთან ღვთაებრივ გამოცხადებაში, ანუ ღმერთის ნაცვლად ლაპარაკში; დღეს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ყელისგან, მაღალი შეფასების მიცემა იმისათვის, რაც ღმერთმა მოგვცა ჩვენ თავის აღდგენაში.
- II. **სამუელი იყო ერთგული ღმერთისა მისთვის ღმერთის მიერ მიცემულ ყველა სტატუსსა და მიღწევაში:**

- ა. როგორც ღვევიანელი, ის ემსახურებოდა ღმერთს მთელი თავისი ცხოვრება; როგორც ნაზარეველი, ის უბიწოდ ინახავდა თავის მიძღვნას (მუხ. 35); როგორც მღვდელი-წინასწარმეტყველი, ის პატიოსნად ლაპარაკობდა ღმერთის ნაცვლად და დაუდო დასაბამი წინასწარმეტყველების მსახურებას, რომელმაც შეცვალა ჩაქრობამდე მისული მსახურება მღვდლებისა ღვთაებრივი გამოცხადების საკითხში; როგორც მსაჯული, ის იყო ერთგული ღმერთისა და სამართლიანი ხალხთან დაკავშირებით, მან დაასრულა მსაჯულთა მსახურება და მოიყვანა მეფეების მსახურება, რათა შეეცვალა საუკუნე ღმერთის სახლმშენებლობის აღსრულებისათვის.
- ბ. როგორც ის, ვინც მუშაობდა ღმერთთან ერთად მისი სახლმშენებლობის განხორციელებისათვის (იოანე 5:17; 2 კორ. 6:1ა), სამუელი იყო განმტკიცებული როგორ იეჰოვას წინასწარმეტყველი, რათა ელაპარაკა მის ნაცვლად, მოესმინა მისი სიტყვა (1 მეფ. 3:9-10, 20-21); ჩვენ მუდმივად უნდა ვივარჯიშოთ იმაში, რომ გვქონდეს ყური, რათა „ვისმინოთ, რას ეუბნება სული ეკლესიებს“ (გამოცხ. 2:7); გარდა ამისა, ჩვენ უნდა გავყვეთ მარიამის ნიმუშს, რომელიც „დაჯდა უფლის ფეხებთან და უსმენდა მის სიტყვას“ (ლუკა 10:38-42):
1. მარიამი დაჯდა უფალ იესოს ფეხებთან, და არა ვიღაც სხვის ფეხებთან; არ არსებობს უკეთესი მეთოდი, ვიდრე ის, რომ ყოველ წუთს მივიდეთ მასთან, გვიყვარდეს ის, თაყვანი ვცეთ მას და განუწყვეტლივ ურთიერთობა გვქონდეს მასთან და დავრჩეთ მის თანდასწრებაში.
  2. მარიამი დაჯდა უფლის ფეხებთან; მან მოათავსა თავისი თავი თავმდაბალ მდგომარეობაში, რათა მოესმინა უფლის ლაპარაკი და მიეღო მისი კურთხევა; თავის დამდაბება არ არის ის, რომ დაემცრო თავისი თავი; თავის დამდაბლება არის ჩვენი თავის იგნორირება, ჩვენი თავის უარყოფა და ის, რომ ჩავთვალოთ ჩვენი თავი არაფრად.
  3. ის დაჯდა; მათ, ვინც იმდენად არიან დაკავებულნი, რომ ყურადღება გადააქვთ უფლის თანდასწრებიდან, აქვთ მოხეტიალე გონება და მერყევი აზრები; ისინი უნდა გაჩერდნენ იმისათვის, რომ გაატარონ პირადი დრო უფალთან ყოველდღიურად.
  4. ის უსმენდა უფლის სიტყვას; სიტყვები, რომლებსაც გველაპარაკება ჩვენ უფალი, – არის სული და სიცოცხლე (იოანე 6:63); იმან, რომ ის უსმენდა უფლის სიტყვას, მისცა უფალს შესაძლებლობა, გადაეცა თავისი თავი მისთვის და დაერიგებინა თავისი თავი მასში, რათა მას მოეპოვებინა თვით უფალი.
- გ. სამუელი ტკბებოდა კეთილი მიწის თავისი წილით ყველაზე სრული ზომით მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში; ამგვარად, ახალი აღთქმისეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ ქრისტეთი ტკობაში არ იყო ხინჯი; ერთადერთი ხინჯი სამუელის ისტორიაში იყო ის, რომ მან დაადგინა თავისი ორი ძე მსაჯულებად ისრაელის შვილებს შორის – 1 მეფ. 8:1-3:
1. სამუელის შვილების უსამართლო გზები იყო საწინააღმდეგო სუფთა და სამართლიანი გზებისა მათი მამის, რომლითაც ის დადიოდა მთელი თავისი ცხოვრება (12:3-5, 23), და მისცა ისრაელის ხალხს საბაბი, რომ ერთხოვათ სამუელისათვის დაეყენებინა მეფე, რათა მას გაესამართლებინა ისინი, როგორც ყველა ერი (8:1-7); ამის გამო სამუელის ძეები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მსაჯულები ისრაელის ხალხს შორის (საქმე 13:20) და სამუელი, მათი მამა, უნდა ჩავთვალოთ უკანასკნელ მსაჯულად.

2. ადამიანური თვალსაზრისით, სამუელმა დაუშვა შეცდომა ამ საკითხში, მაგრამ ეს შეცდომა დაეხმარა ღმერთს, გამოესწორებინა სიტუაცია თავის ხალხს შორის, დაეწყო მეფეების მსახურება თავისი სახლმშენებლობის შესარულებლად.

**III. იონათანს უყვარდა დავითი, დადო მასთან აღთქმა და იწინასწარმეტყველა, რომ დავითი გახდებოდა მეფე და რომ სამეფო იქნებოდა მისი სამეფო – 1 მეფ. 18:1-4; 19:1-7; 20:8, 14-17, 41-42; 23:16-18:**

- ა. საულს განზრახული ჰქონდა, შეენარჩუნებინა სამეფო იონათანისათვის; მაგრამ იონათანს არ უნდოდა მოეპოვებინა სამეფო – ის აღიარებდა, რომ ტახტზე უნდა ყოფილიყო დავითი.
- ბ. იონათანს უნდა ეთქვა ამის შესახებ მამამისისთვის და შემდეგ დაეტოვებინა მამამისი, რათა ყოფილიყო დავითთან; იონათანი რომ გაჰყოლოდა დავითს, ეს როგორც წინასახე აღნიშნავდა, რომ დღეს ჩვენ მიყვებით ქრისტეს და ვაძლევთ მას პირველობას – კოლ. 1:18ბ; გამოცხ. 2:4.
- გ. იონათანმა დაკარგა სათანადო და სრული ტკობა თავისი წილით ღმერთის მიერ დაპირებული კეთილი მიწით თავისი მარცხის გამო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ის არ გაჰყვა დავითს ღმერთის ნების თანახმად თავისი ბუნებრივი მიჯაჭველობის გამო მამამისზე; იონათანი ხვდებოდა, რომ დავით იქნებოდა მეფე, მაგრამ ის დარჩა მამამისთან, და მან მიიყვანა ის ტრაგიკულ შედეგთან – მან გაინაწილა თავისი მამის ხვედრი და მოკვდა მასთან ერთად ბრძოლაში – 1 მეფ. 31:2-6.
- დ. იონათანი იდგა საულსა და დავითს შორის; ის იყო ერთი ადამიანი, რომელიც იდგა ორ მსახურებას შორის; ის უნდა გაჰყოლოდა მეორე მსახურებას, მაგრამ თავისი ძალიან ღრმა კავშირის გამო პირველ მსახურებასთან, მას არ შეეძლო განთავისუფლებულიყო მისი მარწუხებისაგან:
  1. თითოეულ საუკუნეში უფაღს უნდა შეასრულეს რაღაც განსაკუთრებული; მას განზრახული აქვს აღადგონოს თავისთვის გარკვეული საკითხები და განახორციელოს თავისი მრავალფეროვანი სამუშაო; კონკრეტული აღდგენა და სამუშაო, რომელსაც ის ასრულებს ერთ საუკუნეში, არის მსახურება ამ საუკუნისა – შდრ. დაბ. 6:13-14.
  2. დავითი იყო მსახური თავისი საუკუნის იმ საუკუნის მსახურებით (საქმე. 13:21-22, 36ა); ძველ აღთქმაში ნოეს ჰქონდა მსახურება თავისი საუკუნისა – კოდობნის აშენება, მოსეს ჰქონდა მსახურება თავისი საუკუნის – სავანის აშენება, დავითსა და სოლომონს ჰქონდათ მსახურება თავიანთი საუკუნისა – ტაძრის აშენება.
  3. საუკუნის მსახური საუკუნის მსახურებასთან ერთად განხვავდება ადგილობრივი მსახურებისაგან; მარტინ ლუთერი იყო მსახური თავისი საუკუნისა, და ჯონ ნელსონ დარბი ასევე იყო მსახური თავისი საუკუნისა; იმისათვის, რომ მივადწიოთ დღევანდელი საუკუნის მსახურების დონეს, ჩვენ უნდა დავინახოთ ხედვა; მიქალი გაჰყვა ცოლად დავითს, მაგრამ მან ვერაფერი ვერ დაინახა; მან დაინახა მხოლოდ დავითის გარეგნული მდგომარეობა და ვერ შეძლო ამის ატანა; შედეგად ის იყო მიტოვებული – 2 მეფ. 6:16, 20-23.
  4. ახალ აღთქმაში უფაღ იესოს მსახურება არის ის, რომ ააშენოს ეკლესია როგორც ქრისტეს სხეული (მათე 16:18); ნიჭით დაჯილდოებულ მრავალ ადამიანს, წარმოქმნილს უფლის ამადლებასში, აქვთ მხოლოდ ერთი

მსახურება, რომელიც არის ის, რომ მოიტანონ ქრისტე ქრისტეს სხეულის, ეკლესიის, ასაშენებლად; ეს აშენება სრულდება არა თვითონ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების მიერ უშუალოდ, არამედ წმიდანების მიერ, რომლებსაც ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ასრულებდნენ (ეფეს. 4:11-12, 16).

5. ღმერთის მიერ აშენების მსახურებაში არიან ისინი, ვინც მიუძღვება სხვებს ამ მსახურებაში ყოველ საუკუნეში; დაე უფალმა აგვიხილოს თვალები, რათა ჩვენ დავინახოთ, რომ, თუ ჩვენ ვართ ადამიანები, ჩვენ უნდა ვიყოთ ქრისტიანები; თუ ჩვენ ვართ ქრისტიანები; ჩვენ უნდა შევიდეთ უფლის მსახურებაში ამ საუკუნეში.
6. ის, რომ ადამიანს შეუძლია დაინახოს საუკუნის მსახურება და შეეხოს მას, – არის ღმერთის წყალობა, მაგრამ ეს არის სრულიად სხვა რამ – როდესაც ადამიანი, რომელიც აღივსება სითამამით, მიატოვებს წარსულ მსახურებას და შედის ღმერთის დღევანდელ მსახურებაში – შდრ. 1 მეფ. 14:1-46; 2 მეფ. 6:16, 20-23.
7. საუკუნის მსახურება აძლევს ღმერთის ხალხს თანდამსწრებ ჭეშმარიტებას; გამოთქმა „თანდამსწრები ჭეშმარიტება“ მე-2 პეტ. 1:12-ში შეიძლება ასევე გადმოიცეს როგორც „თანამედროვე ჭეშმარიტება“; უფლის თითოეულმა მუშაკმა უნდა კითხოს ღმერთს, რა არის თანდამსწრები ჭეშმარიტება – მათე 16:18; ეფეს. 4:15-16; გამოცხ. 2:7, 11, 17, 26-29; 3:5, 12, 21; ფსალ. 48:2; გამოცხ. 19:7-9; 21:2.

#### IV. საული იყო ამორჩეული ღმერთის მიერ და ცხებულის სამუელის მიერ როგორც მეფე ისრაელისა – 1 მეფ. 9:1-2, 17; 10:1, 24:

- ა. საულმა სულ მცირე ორჯერ გამოავლინა დაუმორჩილებლობა ღმერთის სიტყვისადმი, რის შედეგადაც მან დაკარგა თავისი უფლება მეფობისა და თავისი სამეფო (13:13-14; 15:19, 23; 28:17-19); როდესაც საულმა არ მოუსმინა ღმერთს მეფეთას პირველი წიგნის მე-15 თავში, ის ფაქტიურად აჯანყდა მის წინააღმდეგ.
- ბ. ამ თავში სამუელმა უთხრა საულს: „რადგან ერთი ცოდვია მკითხაობა და ურჩობა, კერპთაყვანისმცემლობა და თვითნებობა“ (მუხ. 23ა); მკითხაობა ნიშნავს ბოროტ სულელებთან ურთიერთობას; ის, რაც გააკეთა საულმა, აჯანყებულმა ღმერთის წინააღმდეგ, ჰგავდა მკითხაობის ცოდვას; ის არ დაემორჩილა ღმერთს და ფაქტიურად გახდა ღმერთის მტერი; შედეგად მან დაკარგა თავისი უფლება მეფობის.
- გ. ტრაგიკული დასასრული საულისა იყო განპიროვნებული მთლიანად იმით, რომ მას არ ჰქონდა სათანადო ურთიერთობა ღმერთის სახლმშენებლობასთან; ღმერთმა, რადგან სურდა, აეშენებინა თავისი სამეფო თავის რჩეულ ხალხს შორის, მიიყვანა საული თავის სახლმშენებლობაში, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მონაწილეობა მიეღო ღმერთის სახლმშენებლობაში და ეთანამშრომლა მასთან, საული მოიქცა ეგოისტურად და გამოიყენა ღმერთის სამეფო თავის ინტერესებში, რათა აეშენებინა საკუთარი მონარქია; მისი აზრები იყო კონცენტრირებული მეფის სტატუსზე, მათ შორის იმაზე, თუ როგორ დაიმკვიდრებდა მისი ძე ტახტს – 20:31.
- დ. ამ საკითხში საულმა გამოავლინა თავისი თავი ეგოისტად და იყო სრულიად არასწორი; საბოლოოდ ღმერთმა უარი თქვა საულზე და მოკვდა ის, მოაშორა სამეფოს (15:28); ვინაიდან ღმერთმა უარი თქვა საულზე, ის დარჩა მარტოობაში, მსგავსად ობოლისა, და მას არ აღმოუჩინეს დახმარება რთულ დროს.

- ქ. საულის ეგოიზმის გამო, ისრაელის ხალხი დაამარცხეს და დახოცეს ფილისტიმელებთან ბრძოლაში, ხოლო საული და მისი ძეები იყვნენ მოკლულნი; საულის პატიემოყვარე მისწრაფება, მიეღო სამეფო თავისთვის და თავისი ძისათვის შერწყმულმა მის შურთან დავითისადმი დაიყვანა ის არაფრამდე და შეაჩერა მისი ტკობა ღმერთის მიერ დაპირებული კეთილი მიწით – 20:30-34.
- კ. ერთდროული სიკვდილი საულისა, მისი სამი ძისა და მისი ჯავშნის მატარებლისა გახდა სამართლიანი სასჯელი ღმერთისა ადამიანზე, რომელიც აჯანყდა მის წინააღმდეგ, როდესაც გამოიყენა ის თავის ინტერესებში და გახდა მისი მტერი (1 ნეშ. 10:13-14); როდესაც ეუმზერთ საულის ტრაგიკულ დასასრულს, ჩვენ უნდა გავითავისოთ ჩვენი ხორცის ჯვარცმის და ჩვენი ეგოიზმის – ჩვენი საკუთარი ინტერესების და ძებნის უარყოფის გაკვეთილი (გალ. 5:24; მათე 16:24; ფილიპ. 2:3).
- ზ. მოთხრობა საულის საშინელ დასასრულზე არის სერიოზული გაფრთხილება ყველასათვის, ვინც მსახურობს ღმერთის სამეფოში, გამოყოფილი სამუშაოს წარმოების დაუშვებლობაზე ღმერთის სამეფოს შიგნით და რაღაცის ბოროტად გამოყენებაზე სამეფოში; ჩვენ, საულის მსგავსად, არ უნდა ვეცადოთ, რომ ავაშენოთ „მონარქია“ ჩვენთვის; ნაცვლად ამისა ჩვენ ყველამ უნდა შევასრულოთ ერთი უნიკალური სამუშაო ღმერთის სამეფოს, ქრისტეს სხეულის აშენებასთან დაკავშირებით – 1 მეფ. 31:1-13.

**V. დავითი იყო ამორჩეული და ცხებულის ღმერთის მიერ სამუელის მეშვეობით რომ ყოფილიყო ისრაელის მეფე – 16:1, 12-13:**

- ა. მას შემდეგ, რაც დავითმა მოკლა გოლიათი, ის შეაქეს ისრაელის ქალებმა როგორც ადამიანი რომელიც იყო საულზე მაღლა (18:7), მაგრამ დავითის შემთხვევაში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ მინიშნებას იმაზე, რომ ის გაამაყდა ან რომ ის განიცდიდა პატიემოყვარულ მისწრაფებას, ემეფა; როდესაც დავითი გადიოდა გამოცდას, იდევნებოდა საულის მხრიდან, ის იყო მოწონებული როგორც შესაბამისი ადამიანი ღმერთის სახლმშენებლობის განსახორციელებლად ღმერთის სამეფოს დადგენის მეშვეობით დედამიწაზე.
- ბ. როდესაც დავითი იდევნებოდა საულის მხრიდან, მას ჰქონდა ორი შესაძლებლობა, გაენადგურებინა საული, მაგრამ დავითმა არ დაიწყო ამის გაკეთება ღმერთის წინაშე შიშის გამო, რადგან საული იყოს ღმერთის მიერ ცხებული; აქედან გამომდინარეობს, რომ დავითი ინარჩუნებდა სათანადო წესრიგს ღმერთის სამეფოში – თავი 24 და 26; შდრ. რომ. 12:3.
- გ. ეჭვგარეშეა, რომ დავითმა ისწავლა მრავალი რამ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არ უნდა ეძია შური, არამედ უარი ეთქვა თავის თავზე ღმერთის ჩანაფიქრის შესასრულებლად, იმის საფუძველზე, რომ ის იყო ადამიანი თანახმად ღმერთის გულისა – 1 მეფ. 13:14ა.
- დ. დავითი არის ტიპური ეტალონი ისრაელის ნამდვილი ძისა იმაში, თუ როგორ დავტკბეთ კეთილი მიწით, ღმერთის მიერ დაპირებული და მიცემული თავისი რჩეული ხალხისათვის; ის დაიმედებული იყო ღმერთზე და დადიოდა ღმერთთან ერთად თანახმად მისი უზენაესი ძალაუფლებისა და თანახმად მისი წინამძღოლობისა და დარიგებისა ყველა თავის გამოცდაში; დავითი ელოდებოდა, რომ დარჩებოდა კეთილ მიწაზე, რათა ჰქონოდა წილი ღმერთის მემკვიდრეობაში და ემსახურა ღმერთისათვის – 17:36-37; 23:14-16; 30:6ბ-10; 26:19ბ.
- ე. იმან, რომ დავითი გულწრფელად დაიმედებული იყო ღმერთზე და ერთგულად დადიოდა ღმერთთან ერთად, მისცა მას სრული უფლება, დამტკბარიყო კეთილი მიწით მაღალ დონეზე, მეფობის დონეზეც კი თანახმად ღმერთის გულისა

სამეფოთი, რომელიც გახდა სამეფო ღმერთისა დედამიწაზე; დავითი იყო ერთი ღმერთთან; ის, რაც ეკუთვნოდა მას, ეკუთვნოდა ღმერთს, ხოლო ის, რაც ეკუთვნოდა ღმერთს, ეკუთვნოდა მას; მას ღმერთთან ერთად ჰქონდა მხოლოდ ერთი სამეფო; ასეთი ადამიანი უმაღლეს დონეზე ტკბებოდა კეთილი მიწით, რომელიც არის ქრისტეს წინასახე.

- გ. საულის სიკვდილის შემდეგ „იყო ხანგრძლივი ომი საულის სახლსა და დავითის სახლს შორის; მაგრამ დავითი ხდებოდა უფრო ძლიერი, ხოლო საულის სახლი ხდებოდა უფრო სუსტი“ (2 მეფ. 3:1); დავითი იყო განმტკიცებული ღმერთის მიერ როგორც მეფე, რომლის სამეფოც იყო ამაღლებული ღმერთის ხალხის, ისრაელის გამო (5:6-25); გარდა ამისა, „დავითი ხდებოდა უფრო და უფრო დიდი; და იეჰოვა ღმერთი მხედრობისა იყო მასთან“ (მუხ. 10); ეს მიუთითებს იმაზე, რომ დავითს ჰქონდა ღმერთის თანდასწრება.
- ზ. თუ რომელიმე საკითხში ჩვენ არა გვაქვს შინაგანი შეგრძნება იმისა, რომ უფალი არის ჩვენთან, ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად და უნდა გადავხედოთ ჩვენს გზას (1 მეფ. 16:14); უფლის აღდგენაში, როდესაც ჩვენ რაღაცას ვაკეთებთ, ჩვენ ყოველთვის უნდა ვიზრუნოთ უფლის თანდასწრების შეგრძნებაზე; ჩვენ ყველამ უნდა შევითვისოთ ასეთი გაკვეთილი – ვიზრუნოთ ორ რამეზე: ღმერთის შინაგან თანდასწრებაზე და გარეგნულ დასტურზე ჩვენს გარემოცვაში (მდრ. 2 მეფ. 5:11-12).
- თ. გარდა ამისა, ჩვენ ყველამ უნდა გავითავისოთ დავითის გაკვეთილები როგორც უარყოფითი მხრივ, ასევე დადებითი მხრივ; ხორცის გულისთქმა არის დამანგრეველი ელემენტი, რომელსაც შეუძლია დაგვლუპოს ჩვენ; თუ შესაძლებელია, რომ იყოს ცდუნებული ასეთი ღვთისმოსავი ადამიანი, როგორიც დავითია, მაშინ ნუთუ ჩვენ შეგვიძლია გავექცეთ ამას? 11:1-27; მდრ. 2 ტიმ. 2:22; 1 კორ. 6:13, 18:
  - 1. ჩვენი მიღწევებისაგან დამოუკიდებლად ჩვენს სულიერ სწრაფვაში ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია ჩაიდინოს მსგავსი ცოდვა; ჩვენ უნდა წავიკითხოთ ეს მოთხრობა სერიოზული განწყობით ღმერთის თანდასწრებაში; ეს მოთხრობა გვაფრთხილებს ჩვენ იმასთან დაკავშირებით, რომ ხორციით ტკობა არის სერიოზული რამ; ცდუნება დავითისათვის გახდა მხოლოდ ერთი შეხედვა, და ამის შემდეგ მას აღარ შეეძლო თავის შეკავება.
  - 2. ყველა წმიდანმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, უნდა გამოიკვლიონ თავიანთი გულები და მიიღონ მყარი გადაწყვეტილება გულში, რომ არასოდეს არ იარონ ხორცის ტკობით (მსაჯ. 5:15-16); ჩვენ უნდა ვთქვათ: „უფალო იესო, მე მიყვარხარ შენ, მე მჭირდები შენ, და მე გღებულობ შენ“; თუ ჩვენ ასე ვილაპარაკებთ, ის იქნება ჩვენი მხსნელი და ჩვენი დინამიური გადარჩენა; როგორც პნემატური ქრისტე, ის გადაგვარჩენს ჩვენ, შეგვინახავს ჩვენ და დაგვიცავს ჩვენ ამ საუკუნის დაბინძურებისაგან, რათა ჩვენ შევინახოთ ეს დიდება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ.